

ძალაშია 2000 წლის 3 ივლისიდან

## შეთანხმება

### საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და ქონებაზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ

საქართველო და სომხეთის რესპუბლიკა ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით განავითარონ და გააძლიერონ ორ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა, შემოსავლებსა და ქონებაზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის მიზნით, გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1.

##### პირები, რომელთა მიმართაც გამოიყენება შეთანხმება

ეს შეთანხმება გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს.

#### მუხლი 2.

##### გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

1. ეს შეთანხმება ვრცელდება შემოსავლებსა და ქონებაზე გადასახადების მიმართ, რომლებიც დაკისრებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ქვედანაყოფების მიერ ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, მიუხედავად მათი გადახდევინების წესისა.

2. შემოსავლებსა და ქონებაზე გადასახადებად ითვლება ყველა ის გადასახადი, რომელიც გადაიხდევინება შემოსავლების მთლიანი თანხიდან, ქონების მთლიანი თანხიდან ან მათი ცალკეული ელემენტებიდან, უძრავ-მოძრავი ქონების განსხვავებით მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების, საწარმოს მიერ გადახდილი ხელფასის მთლიან თანხებზე გადახდევინებული გადასახადების აგრეთვე, ქონების მაგებიდან მიღებულ შემოსავლებზე გადახდევინებული გადასახადების ჩათვლით.

3. არსებულ გადასახადებს, რომლებზედაც ვრცელდება შეთანხმება, კერძოდ წარმოადგენს:

a) საქართველოში:

- (I) საწარმოს მოგების (შემოსავლის) გადასახადი;
  - (II) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;
  - (III) საწარმოთა ქონების გადასახადი;
  - (IV) ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი;
- (შემდგომში წოდებულნი, როგორც "საქართველოს გადასახადები").

b) სომხეთში:

- (I) მოგების გადასახადი;
- (II) საშემოსავლო გადასახადი

(III) ქონების გადასახადი.

(შემდგომში წოდებული როგორც “სომხეთის გადასახადები”)

4. შეთანხმება გამოიყენება, აგრეთვე ყველა იდენტიური ან ანალოგიური გადასახადის მიმართ, რომლებიც ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერის თარიღის შემდეგ იქნება გადახდევინებული არსებულ გადასახადებზე დამატებით ან მათ ნაცვლად. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები აცნობებენ ერთმანეთს მათ შესაბამის საგადასახადო კანონებში შეტანილი პრინციპული ცვლილებების შესახებ.

### მუხლი 3

#### ზოგადი განსაზღვრებანი

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

a) გამონათქვამი “ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო” და “მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო” კონტექსტიდან გამომდინარე ნიშნავს საქართველოს ან სომხეთს;

b) ტერმინი “საქართველო” გეოგრაფიული მნიშვნელობით ნიშნავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ მთელ ტერიტორიას, შიდა და ტერიტორიული წყლების ჩათვლით, აგრეთვე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას და კონტინენტურ შეღწას, რომელთა მიმართ საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, სუვერენული უფლებები და საგადასახადო კანონმდებლობა.

c) ტერმინი “სომხეთი” გეოგრაფიული მნიშვნელობით ნიშნავს სომხეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ მის ტერიტორიას, შიდა წყლების ჩათვლით, რომელთა მიმართ საერთაშორისო სამართლისა და სომხეთის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ვრცელდება სომხეთის იურისდიქცია, სუვერენული უფლებები და საგადასახადო კანონმდებლობა.

d) ტერმინი “პირი” მოიცავს ფიზიკურ პირს, კომპანიას და პირთა ნებისმიერ სხვა გაერთიანებას.

e) ტერმინი “კომპანია” ნიშნავს ნებისმიერ კორპორაციულ წარმონაქმნს, ან ნებისმიერ სხვა წარმონაქმნს, რომელიც გადასახადით დაბეგვრის მიზნით განიხილება, როგორც კორპორაციული.

f) გამონათქვამი “ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო” და “მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო” შესაბამისად ნიშნავს საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ და საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ.

g) გამონათქვამი “საერთაშორისო გადაზიდვა” ნიშნავს ნებისმიერ გადაზიდვას საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო ან სარკინიგზო საგრანსპორტო საშუალებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გადაზიდვა ხორციელდება უშუალოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განლაგებულ პუნქტებს შორის.

h) გამონათქვამი “კომპეტენტური ორგანო” ნიშნავს:

(I) საქართველოში - ფინანსთა მინისტრს ან მის სრულუფლებიან წარმომადგენელს.

(II) სომხეთში - ფინანსთა და ეკონომიკის მინისტროს ან მის უფლებამოსილ

წარმოადგენელს;

i) გერმინი "ნაციონალური პირი: ნიშნავს:

(I) ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

(II) ნებისმიერ იურიდიულ პირს, ამხანაგობას ან ასოციაციას, რომელსაც ასეთი სტატუსი მიღებული აქვს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შეთანხმების გამოყენებისას ნებისმიერ გერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას ენიჭება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

#### **მუხლი 4. რეზიდენტი**

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, გამონათქვამი "ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი" ნიშნავს პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება იქ დაბეგვრას საცხოვრებელი ადგილის, მუდმივი ადგილსამყოფელის, რეგისტრაციის ადგილის, ხელმძღვანელი ორგანოს სამყოფელის ან სხვა ანალოგიური კრიტერიუმის საფუძველზე. ამასთან, ეს გერმინი არ მოიცავს პირს, რომელიც ექვემდებარება ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში დაბეგვრას მხოლოდ ამ სახელმწიფოში არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით ან ამ სახელმწიფოში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ფიზიკური პირი წარმოადგენს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:

a) იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი, თუ მას მუდმივი საცხოვრებელი ორივე სახელმწიფოში აქვს, იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია უფრო მჭიდრო პირადი და ეკონომიკური კავშირები (სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი);

b) თუ შეუძლებელია იმ სახელმწიფოს დადგენა, სადაც მას აქვს სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი, ან თუ მას არც ერთი ამ სახელმწიფოში არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი, იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს;

c) თუ იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს ორივე სახელმწიფოში ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს არც ერთ მათგანში, მაშინ იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის ეროვნულ პირსაც წარმოადგენს;

d) თუ იგი არ არის არც ერთი მათგანის ნაციონალური პირი, მაშინ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ ამ საკითხს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, წარმოადგენს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის კანონმდებლობის შესაბამისადაც მიიღო ასეთი სტატუსი.

## მუხლი 5 მუღმივი დაწესებულება

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, გერმინი “მუღმივი დაწესებულება” ნიშნავს საქმიანობის მუღმივ ადგილს, რომლის მეშვეობითაც ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს საწარმო მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს საქმიანობას მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში.

2. გერმინი “მუღმივი დაწესებულება”, კერძოდ, მოიცავს:

- a) მართვის ადგილს;
- b) ფილიალს;
- c) ოფისს;
- d) ფაბრიკას;
- e) სახელოსნოს;
- f) მაღაროს, საბადოს, გამის ან ნავთობის ჭაბურღილს, კარიერს, ან ბუნებრივი რესურსების დაზვერვის, დამუშავების ან მოპოვების ნებისმიერ სხვა ადგილს.

3. გერმინი “მუღმივი დაწესებულება” აგრეთვე მოიცავს:

a) სამშენებლო მოედანს, სამშენებლო, სამონტაჟო, საამწყობო ობიექტს ან საბეღამხედველო საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ ობიექტებთან, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული სამუშაოები აჭარბებს ექვს თვეს.

b) მომსახურების გაწევა, საკონსულტაციო მომსახურების ჩათვლით, საწარმოს მიერ მომსახურების ან ამ მიზნის განსახორციელებლად საწარმოს მიერ დაქირავებული სხვა პერსონალის მიერ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი სახის საქმიანობა (ერთი ან ურთიერთდაკავშირებული ობიექტებისათვის) შეადგენს პერიოდს ან პერიოდებს, რომლებიც საერთო ჯამში აღემატება 183 დღეს ნებისმიერ თორმეტვიან პერიოდში.

4. ამ მუხლის წინამდებარე დებულებების მიუხედავად, ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს საწარმოს საქმიანობის შემდეგი სახეები არ განიხილება, როგორც მეორე სახელმწიფოში განხორციელებული “მუღმივი დაწესებულების” მეშვეობით:

a) ნაგებობების გამოყენება საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობათა მხოლოდ შენახვის ან დემონსტრირების მიზნით;

b) საქონლის ან ნაკეთობათა მარაგის შენახვა, რომლებიც საწარმოს ეკუთვნის მხოლოდ შენახვის ან დემონსტრირების მიზნით;

c) აქონლის ან ნაკეთობათა მარაგის შენახვა, რომლებიც საწარმოს ეკუთვნის მხოლოდ სხვა საწარმოს მიერ მათი გადამუშავების მიზნით;

d) საქმიანობის მუღმივი ადგილის შენახვა მხოლოდ საწარმოსათვის საქონლის ან ნაწარმის შესყიდვის ან ინფორმაციის შეგროვების მიზნით;

e) საქმიანობის მუღმივი ადგილის შენახვა მხოლოდ საწარმოსათვის ნებისმიერი სხვა მოსამზადებელი ან დამხმარე საქმიანობის განხორციელების მიზნით;

f) საქმიანობის მუღმივი ადგილის შენახვა a) - e) პუნქტებში ჩამოთვლილ საქმიანობათა სახეობების ნებისმიერი კომბინაციის განსახორციელებლად, იმ პირობით, რომ საქმიანობის მუღმივი ადგილის ერთობლივ საქმიანობას, რომელიც წარმოიშობა ასეთი კომბინაციის შედეგად, აქვს მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათი.

5. პირველი და მეორე პუნქტების დებულებათა მიუხედავად, თუ პირი, გარდა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტისა, რომელმაც საუბარია მე-6 პუნქტში,

ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედებს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს სახელით, მაშინ ეს საწარმო განიხილება როგორც მუდმივი დაწესებულების მქონე პირველად ხსენებულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ნებისმიერი საქმიანობის მიმართ, რომელსაც აღნიშნული პირი ასრულებს საწარმოსათვის. თუ ამ პირს:

a) ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში გააჩნია და ჩვეულებრივ იყენებს უფლებამოსილებას დადოს კონტრაქტი საწარმოს სახელით, იმ შემთხვევის გარდა, როცა ამ პირის საქმიანობა შემოიფარგლება მე-4 პუნქტში მითითებულით, რომელიც თუ ხორციელდება კიდევ საქმიანობის მუდმივი ადგილის მეშვეობით, ამ პუნქტის დებულებათა თანახმად არ ქმნის ამ საქმიანობის მუდმივ ადგილთან მუდმივ დაწესებულებას.

b) არ გააჩნია ასეთი უფლებამოსილება, მაგრამ პირველ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, ჩვეულებრივ, ინახავს საქონლისა და ნაკეთობების მარაგს საწარმოს სახელით.

6. ხელშემკვრელ სახელმწიფოში საწარმო არ განიხილება, როგორც მუდმივი დაწესებულების მქონე, თუ იგი ამ სახელმწიფოში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს ბროკერის, კომისიონერის ან ნებისმიერი სხვა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტის მეშვეობით იმ პირობით, რომ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეული საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, თუ ასეთი აგენტის საქმიანობა მთლიანად ან თითქმის მთლიანად მიმართულია ამ საწარმოსათვის განხორციელებული საქმიანობისაკენ, მაშინ ამ პუნქტის ფარგლებში იგი არ იქნება განხილული როგორც დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტი.

7. ის ფაქტი, რომ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია აკონტროლებს ან კონტროლირდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ ან ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თავისთავად ერთ-ერთ ამ კომპანიას არ გადააქცევს მეორის მუდმივ დაწესებულებად.

## **მუხლი 6** **შემოსავლები უძრავი ქონებიდან**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლები მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული უძრავი ქონებიდან (სასოფლო და საგყეო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით), შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში; 2. გამონათქვამს “უძრავი ქონება” უნდა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს განსახილველი ქონება. ეს გამონათქვამი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს ქონებას, რომელსაც გააჩნია დამხმარე ხასიათი უძრავი ქონების მიმართ, პირუტყვის და მოწყობილობას, რომელიც გამოიყენება სასოფლო და საგყეო მეურნეობაში. უფლებებს, რომელთა მიმართაც იყენებენ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლის ზოგად დებულებებს, უძრავი ქონების უზურფრუქტს და უფლებას ცვალებად და ფიქსირებულ გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება როგორც კომპენსაცია მინერალური რესურსების, წყაროების და სხვა ბუნებრივი წიაღისეულის დამუშავებისათვის ან დამუშავების უფლებისათვის. სამღვაო და საჰაერო ხომალდები, სარკინიგზო და საავტომობილო საგრანსპორტო საშუალებანი არ განიხილება როგორც უძრავი ქონება.

3. 1-ლი პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე შემოსავლებზე, რომლებიც მიიღება უძრავი ქონების პირდაპირი გამოყენებიდან, იჯარით გაცემიდან ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენებიდან.

4. თუ კომპანიის აქციებისა და სხვა კორპორაციული უფლებების ფლობა ასეთი აქციების და კორპორაციული უფლებების მფლობელს უფლებას აძლევს ისარგებლოს კომპანიის კუთვნილი უძრავი ქონებით, მაშინ შემოსავლები, რომელიც მიიღება სარგებლობის უფლების პირდაპირი გამოყენებიდან, იჯარით გაცემიდან ან სხვა ფორმით გამოყენებიდან, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს ასეთი ქონება.

5. 1-ლი და მე-3 პუნქტების დებულებები გამოიყენება აგრეთვე საწარმოს უძრავი ქონებიდან მიღებულ შემოსავლებზე და შემოსავლებზე უძრავი ქონებიდან, რომელიც გამოიყენება დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გასაწევად.

## მუხლი 7

### მოგება სამეწარმეო საქმიანობიდან

1. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მოგება დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ამგვარად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება:

- a) ამ მუდმივ დაწესებულებას.
- b) ამ მეორე სახელმწიფოში საქონლისა და ნაკეთობის რეალიზაციას, რომელთაც იგივე ან მსგავსი სახე აქვთ, როგორც იმათ, რომლებიც იყიდება ასეთი მუდმივი დაწესებულების მიერ.
- c) სხვა სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში და ისეთივე ან მსგავსი სახე აქვს, როგორც იმას, რომელიც ხორციელდება ასეთი მუდმივი დაწესებულების მიერ.

2. ამ მუხლის მე - 3 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამ მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლება მიეღოს, თუ იგი იქნებოდა განკერძოებული და დამოუკიდებელი საწარმო იმავე ან ანალოგიური პირობებში დაკავებული, იმავე ან ანალოგიური საქმიანობით და იმოქმედებდა სრულიად დამოუკიდებლად იმ საწარმოსაგან, რომლის მუდმივ დაწესებულებასაც ის წარმოადგენს.

3. მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრისას დასაშვებია დოკუმენტურად დასაბუთებული ხარჯების გამოქვითვა, რომლებიც გაწეულია ასეთი მუდმივი დაწესებულების მიზნებისათვის, მმართველობითი და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, იმისგან დამოუკიდებლად, ეს ხარჯები გაწეულია იმ სახელმწიფოში, სადაც იმყოფება მუდმივი დაწესებულება თუ მის ფარგლებს გარეთ.

ამასთან ასეთი გამოქვითვა არ დაიშვება თანხების მიმართ, თუ ასეთი



არსებობს, რომლებიც გადაეხლება (თუ არა ფაქტიურად გაწეული ხარჯების კომპენსაცია) მუდმივი დაწესებულებების მიერ საწარმოს ან ნებისმიერ მის ქვედანაყოფს როიალგის, ჰონორარების ან სხვა მსგავსი გადახდების სახით, პატენტებისა და სხვა უფლებებით სარგებლობისათვის ან საკომისიო გასამრჯელოს სახით – გაწეული მომსახურების ან მენეჯმენტისათვის, ან (საბანკო დაწესებულებების გარდა) სესხის პროცენტების სახით, რომელიც მან მუდმივ დაწესებულებას მისცა.

4. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგების განსაზღვრა საწარმოს მოგების თანხის ამ საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფებს შორის პროპორციული განაწილების საფუძველზე, მაშინ მეორე პუნქტში არაფერი არ უკრძალავს ხელშემკვრელ სახელმწიფოს, განსაზღვროს დასაბეგრი მოგება ასეთი განაწილების მეშვეობით. განაწილების არჩეული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის პრინციპებს.

5. მუდმივ დაწესებულებას არ ჩაერიცხება არავითარი მოგება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მან შეიძინა საქონელი ან ნაკეთობანი საწარმოსათვის.

6. წინამდებარე პუნქტების მიზნებისათვის, მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგება ყოველწლიურად განისაზღვრება ერთიდაიმავე მეთოდით, თუკი რაიმე დამაჯერებელი და საკმარისი მიზეზი არ იქნება მის შესაცვლელად.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება მოიცავს შემოსავლების ისეთ სახეებს, რომლებზეც ცალკეა საუბარი ამ შეთანხმების სხვა მუხლებში, იმ მუხლების დებულებებს არ შეეხება წინამდებარე მუხლის დებულებები.

## **მუხლი 8** **საერთაშორისო გადაბიდვები**

1. საზღვაო ან საჰაერო ხომალდების, საავტომობილო ან სარკინიგზო, საგრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო გადაბიდვებში ექსპლუატაციიდან მიღებული მოგება დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც განთავსებულია საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

2. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი საგრანსპორტო საწარმოს მიერ მიღებული მოგება საქონლის ან პროდუქციის გადასაბიდი კონტეინერების (კონტეინერების გადასაბიდი ტრეილერებისა და სხვა მოწყობილობის ჩათვლით) გამოყენებიდან, შენახვიდან ან იჯარიდან, დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

3. 1-ლი და მე-2 პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე პულში, ერთობლივ საწარმოებში ან საგრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლების მიმართ, მაგრამ შემოსავლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც განეკუთვნება მის წილს ერთობლივ საქმიანობაში.

## **მუხლი 9** **ასოცირებული საწარმოები**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც:  
ა) ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, ან

b) ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს და მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში,

და ორივე შემთხვევაში, ამ ორ საწარმოს შორის კომერციულ და ფინანსურ ურთიერთდამოკიდებულებაში იქმნება ან მყარდება პირობები, განსხვავებული იმათგან, რომლებსაც ადგილი ექნებოდა ორ დამოუკიდებელ საწარმოს შორის ურთიერთობისას, მაშინ ნებისმიერი მოგება, რომელიც შეიძლებოდა რომელიმე მათგანს დარიცხოდა, მაგრამ ამ პირობების არსებობის გამო არ დაერიცხა, შეიძლება ჩართულ იქნეს ამ საწარმოს მოგებაში და დაიბეგროს შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო ამ სახელმწიფოს საწარმოს დასაბეგრ მოგებაში რთავს და შესაბამისად ბეგრავს მოგებას, რომელთან მიმართებაში მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო დაიბეგრა ამ მეორე სახელმწიფოში, და ასეთი სახით ჩართული მოგება წარმოადგენს მოგებას, რომელიც შეიძლებოდა დარიცხვოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს საწარმოს, თუკი ამ ორ საწარმოს შორის იქმნებოდა იგივე ურთიერთობა, როგორც დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, მაშინ ეს მეორე სახელმწიფო მოახდენს მის მიერ ამ მოგებაზე დარიცხული გადასახადის შესაბამის კორექტირებას. ასეთი კორექტირების განსაზღვრისას სათანადო წესით იქნება გათვალისწინებული ამ შეთანხმების სხვა დებულებებიც, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები აწარმოებენ კონსულტაციებს ერთმანეთთან.

## **მუხლი 10 დივიდენდები**

1. დივიდენდები, რომლებსაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია გადაუხდის მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამასთან, ასეთი დივიდენდები შეიძლება აგრეთვე დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდის გადამხდელი კომპანია, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები წარმოადგენს დივიდენდების ფაქტიურ მფლობელს, მაშინ ასეთი სახით გადახდევინებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს:

a) დივიდენდების საერთო თანხის 5% - ს, თუ კომპანია (ამხანაგობისაგან განსხვავებული) არის დივიდენდების ფაქტიური მფლობელი და იმავდროულად არის დივიდენდების გადამხდელი კომპანიის საწესდებო ფონდის (ქონების) არანაკლებ 25%-ის მფლობელი.

b) დივიდენდების საერთო თანხის 10%-ს პროცენტს ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმებით დაადგენენ ასეთი შეზღუდვის გამოყენების წესს.

ეს პუნქტი არ შეეხება კომპანიის დაბეგრას იმ მოგებასთან მიმართებით, რომლიდანაც გაიცემა დივიდენდები.

3. ამ მუხლში გამოყენებისას, გერმინი "დივიდენდები" ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან ან სხვა უფლებებიდან, რომლებიც არ წარმოადგენენ სავალე მოთხოვნებს, იძლევიან მოგებაში მონაწილეობის უფლებას, აგრეთვე შემოსავალს სხვა



კორპორაციული უფლებებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ისეთსავე საგადასახადო რეგულირებას, როგორსაც აქციებზე შემოსავალი იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს მოგების გამანაწილებელი კომპანია.

4. მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ დივიდენდების ფაქტიური მფლობელი, როგორც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც არის დივიდენდების გადახდელი კომპანია, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ამ მეორე სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზიდან და ჰოლდინგი, რომლის მიმართაც გადაიხდება დივიდენდები, ნამდვილად განეკუთვნება ასეთ მუდმივ დაწესებულებას ან მუდმივ ბაზას. ასეთ შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, გამოიყენება მე-7 ან მე-14 მუხლების დებულებები.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია იღებს მოგებას ან შემოსავალს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოში, ამ მეორე სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად გაანთავისუფლოს აღნიშნული კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდები გადასახადისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დივიდენდები გადაეხდება ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს ან თუ ჰოლდინგი, რომლის მიმართაც გადაიხდება დივიდენდები, ნამდვილად განეკუთვნება მეორე სახელმწიფოში მდებარე მუდმივ დაწესებულებას ან მუდმივ ბაზას და არ შეუძლია დაბეგრას დაუქვემდებაროს კომპანიის გაუნაწილებელი მოგება, მაშინაც კი, თუ დივიდენდები გაიცემა ან გაუნაწილებელი მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ამ მეორე სახელმწიფოში წარმოქმნილი მოგებისაგან ან შემოსავლებიდან.

## **მუხლი 11. პროცენტი**

1. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტები, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამასთან, ასეთი პროცენტი შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ისინი წარმოიქმნება, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები წარმოადგენს პროცენტების ფაქტიურ მფლობელს; მაშინ ასეთი წესით გადახდევინებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს პროცენტების მთლიანი თანხის 10% -ს. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმებით დაადგენენ ასეთი შემდგომი გამოყენების წესს.

3. ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი "პროცენტი" ნიშნავს შემოსავალს ნებისმიერ სახით სავალე მოთხოვნიდან, იპოთეკური უზრუნველყოფისა და მევალის მოგებაში მონაწილეობის უფლების არსებობის მიუხედავად. კერძოდ, შემოსავალს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და ობლიგაციებიდან ან სავალე მოთხოვნებიდან, ამ ფასიანი ქაღალდებიდან, ობლიგაციებიდან ან სავალე მოთხოვნებიდან მიღებული პრემიებისა და მოგებების ჩათვლით. ამ მუხლის მიზნებისათვის, ჯარიმები არათავისდროულ გადახდაზე არ განიხილება, როგორც პროცენტები.

4. 1-ლი და მე-2 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც პროცენტების ფაქტიური მფლობელი,

ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც წარმოიშობა პროცენტები იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან მეორე სახელმწიფოში ეწევა დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზის მეშვეობით და სავალე მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც გადაიხდება პროცენტები, ნამდვილად არის დაკავშირებული ასეთ მუდმივ დაწესებულებასთან ან მუდმივ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, გამოიყენება ამ მე-7 და მე-14 მუხლების დებულებები.

5. ითვლება, რომ პროცენტები წარმოიქმნება ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ გადახდელად გამოდის თვითონ ეს სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციულ-გერიგორიული დანაყოფით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ან ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ, პროცენტების გადახდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, გააჩნია ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომლებთან დაკავშირებით წარმოიქმნა დავალიანება, რომელზეც გადაიხდება პროცენტები, და ამ პროცენტების გადახდის ხარჯებს ეწევა ასეთი მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, მაშინ ითვლება, რომ ასეთი პროცენტები წარმოიქმნება იმ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა.

6. თუ გადახდელსა და პროცენტების ფაქტიურ მფლობელს შორის ან მათსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობის გამო სავალე მოთხოვნაზე განკუთვნილი პროცენტული თანხა, რომლის საფუძველზეც იგი გადაიხდება, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადახდელსა და პროცენტის ფაქტიურ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის ნამეტი ნაწილი კვლავ ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

## **მუხლი 12**

### **როიალტი**

1. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი როიალტი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამასთან, ასეთი როიალტი შეიძლება დაიბეგროს ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც იგი წარმოიქმნება, მისი კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები არის როიალტის ფაქტიური მფლობელი, ასეთ შემთხვევაში, გადახდილი გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს როიალტის საერთო თანხის 5 პროცენტს. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები, ურთიერთშეთანხმებით დააწესებენ ასეთი შემდგომი გამოყენების წესს.

3. ამ მუხლში გამოყენებისას ტერმინი “როიალტი” ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადებს, რომლებიც მიიღება ანაზღაურების სახით ლიგერატურის, ხელოვნების ან მეცნიერების ნებისმიერი ნაწარმოების გამოყენების ან გამოყენებაზე საავტორო უფლების მიცემისათვის, კინემატოგრაფიული ფილმების, რადიო ან სატელევიზიო გადაცემის ჩაწერების, კომპიუტერული პროგრამების ნებისმიერი პაკეტის, სავაჭრო მარკის, ღიზინის ან მოდელის, გეგმის, საიდუმლო ფორმულის ან პროცესის ჩათვლით,

ან სამრეწველო, კომერციული, ან სამეცნიერო გამოცდილების შესახებ ინფორმაციისათვის.

4. 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ როიალგის ფაქტიური მფლობელი, როგორც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიქმნება როიალგი, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ეწევა ამ მეორე სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზის მეშვეობით, და უფლება ან ქონება, რომლის მიმართაც გადაიხდება როიალგი, ნამდვილად არის დაკავშირებული ამ მუდმივ დაწესებულებასთან ან მუდმივ ბაზასთან. ამ შემთხვევაში, გარემოებათა შესაბამისად, გამოიყენება მე -7 ან მე-14 მუხლების დებულებები.

5. ითვლება, რომ როიალგი წარმოიქმნება ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ გადამხდელად გამოდის თვითონ ეს სახელმწიფო, მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფი, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ან ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ, როიალგის გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, გააჩნია ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომლებთან დაკავშირებითაც წარმოიქმნა დავალიანება, რომელზეც გადაიხდება როიალგი, და ამ როიალგის გადახდის ხარჯებს ეწევა ასეთი მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, მაშინ ითვლება, რომ ასეთი როიალგი წარმოიქმნება იმ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა.

6. თუ გადამხდელსა და ფაქტიურ მფლობელს შორის ან მათ და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების გამო როიალგის თანხა, რომელიც დაკავშირებულია სარგებლობასთან, უფლებასთან ან ინფორმაციასთან, რომელთა საფუძველზეც იგი გადაიხდება, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ფაქტიურ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არ არსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის ნამეგი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

### **მუხლი 13**

#### **ქონების განსხვისებით მიღებული შემოსავლები**

1. შემოსავლები, რომლებსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია მე-6 მუხლში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. შემოსავლები მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც შეადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს ან შემოსავლები ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე მუდმივი ბაზის კუთვნილი მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც განკუთვნილია დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გასაწევად, ასეთი მუდმივი დაწესებულების (ცალკე ან მთელ საწარმოსთან ერთობლივად) ან ასეთი მუდმივი ბაზის

გასხვისებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით, შეიძლება დაიბეგროს მეორე სახელმწიფოში.

3. შემოსავლები, რომლებიც მიიღება საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო ან საჰაერო ხომალდების, საავტომობილო ან სარკინიგზო გრანსპორტის ან მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოყრავი ქონების გასხვისებიდან, დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც განთავსებულია საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

4. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ აქციების ან კომპანიის სხვა კორპორაციული უფლებების გასხვისებით მიღებული შემოსავლები, რომელთა აქტივები პირდაპირ ან არაპირდაპირ უმთავრესად, შედგება მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებისაგან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

5. შემოსავლები ნებისმიერი სხვა ქონების გასხვისებიდან, გარდა იმისა, რომელმაც ლაპარაკია 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში, დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.

## **მუხლი 14**

### **დამოუკიდებელი პირადი მომსახურება**

1. შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი პროფესიონალური მომსახურების გაწევის ან სხვა დამოუკიდებელი ხასიათის საქმიანობის შედეგად, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად მას გააჩნია რეგულარულად გამოყენებადი მუდმივი ბაზა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში. თუ მას გააჩნია ასეთი მუდმივი ბაზა, მაშინ აღნიშნულ ბაზასთან დაკავშირებული შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს ამ სხვა სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც განეკუთვნება ამ მუდმივ ბაზას.

2. გამონათქვამი “პროფესიონალური მომსახურება” შეიცავს, კერძოდ, დამოუკიდებელ სამეცნიერო, ლიგერატურულ, სამსახიობო, საგანმანათლებლო და პედაგოგიურ საქმიანობას, აგრეთვე ექიმების, იურისტების, ინჟინრების, არქიტექტორების, სტომატოლოგების, ბუღალტრების და აუდიტორების დამოუკიდებელ საქმიანობას.

## **მუხლი 15**

### **დაქირავებით მუშაობა**

1. ამ შეთანხმების მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დაქირავებული შრომით მიღებული ხელფასი და სხვა მსგავსი ანაზღაურებანი, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ დაქირავებული შრომა არ ხორციელდება მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში. თუ დაქირავებული მუშაობა ხორციელდება ასეთი სახით, მაშინ მიღებული ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. პირველი პუნქტის დებულებათა მიუხედავად, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში

განხორციელებული დაქირავებული მუშაობიდან მიღებული გასამრჯელო, იბეგრება მხოლოდ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ:

a) მიმღები იმყოფება მეორე სახელმწიფოში პერიოდის ან პერიოდების განმავლობაში, რომელიც საერთო ჯამში არ აღემატება 183 დღეს ნებისმიერი თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ან მთავრდება მოცემულ კალენდარულ წელში, და

b) გასამრჯელო გაიცემა დამქირავებლის მიერ ან დამქირავებლის სახელით, რომელიც არ წარმოადგენს ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს; და

c) გასამრჯელოს გაცემაზე ხარჯებს არ ეწევა მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომლებიც დამქირავებელს გააჩნია ამ მეორე სახელმწიფოში.

3. ამ მუხლის წინა დებულებების მიუხედავად, გასამრჯელო, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო ან საჰაერო ხომალდებზე, საავტომობილო ან სარკინიგზო საგრანსპორტო საშუალებებზე განხორციელებულ დაქირავებულ მუშაობასთან, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

## **მუხლი 16**

### **ღირექვორთა ჰონორარები**

ღირექვორთა ჰონორარები და სხვა მსგავსი გადახდები, რომლებსაც მიიღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი საწარმოს ღირექვორთა საბჭოს წევრი, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

## **მუხლი 17**

### **ხელოვნების მუშაკები და სპორტსმენები**

1. მე-14 და მე-15 მუხლების დებულებათა მიუხედავად, შემოსავალი, რომელსაც მიიღებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი ხელოვნების მუშაკი, როგორც არის თეატრის, კინოს, რადიოს ან ტელევიზიის მსახიობი ან მუსიკოსი, ან როგორც სპორტსმენი, მისი პირადი საქმიანობიდან შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც განახორციელებს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი (სწორედ როგორც ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი), დაერიცხება არა თვით ხელოვნების მუშაკს ან სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი მიუხედავად ამ შეთანხმების მე-7, მე-14 და მე-15 მუხლების დებულებების მიუხედავად, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება ხელოვნების მუშაკის ან სპორტსმენების საქმიანობა.

3. 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ ეხება შემოსავალს, რომელსაც ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი მიიღებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული საქმიანობიდან, თუ ამ სახელმწიფოში ვიზიტი ხორციელდება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის კულტურისა და სპორტის შესახებ არსებული შეთანხმების ფარგლებში და (ან) მთლიანად ფინანსირდება ორივე

ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მათი ადმინისტრაციულ-გერიგორიული ქვედანაყოფების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საზოგადოებრივი ფონდებიდან. ასეთ შემთხვევაში, შემოსავალი იბეგრება მხოლოდ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენცაც წარმოადგენს აღნიშნული ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი.

## **მუხლი 18 პენსიები**

მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, პენსიები და სხვა მსგავსი ანაზღაურებანი, რომლებიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენცს გადაეხდება წარსულში განხორციელებულ დაქირავებულ შრომასთან დაკავშირებით, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

## **მუხლი 19 სახელმწიფო სამსახური**

1. a) ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-გერიგორიული ქვედანაყოფის, ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ ნებისმიერი ფიზიკური პირისათვის გადახდილი პენსიიდან განსხვავებული გასამრჯელო, ამ სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-გერიგორიული დანაყოფის, ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიმართ გაწეული მომსახურებისათვის, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

b) ამასთან, ამგვარი გასამრჯელო იბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ მომსახურება ხორციელდება ამ სახელმწიფოში და ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენცს, რომელიც:

(I) არის ამ სახელმწიფოს ნაციონალური პირი, ან

(II) არ გამხდარა ამ სახელმწიფოს რეზიდენტი მხოლოდ აღნიშნული მომსახურების გაწევის მიზნით.

2. a) ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-გერიგორიული დანაყოფის, ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ, ან მათ მიერ შექმნილი ფონდებიდან ნებისმიერი ფიზიკური პირისათვის გადახდილი პენსია, ამ სახელმწიფოსათვის, მისი ადმინისტრაციულ-გერიგორიული დანაყოფისათვის, ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოსათვის გაწეული მომსახურებისათვის, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

b) ამასთან, ამგვარი პენსია იბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენცს და ნაციონალურ პირს.

3. ამ შეთანხმების მე-15, მე-16, და მე-18 მუხლების დებულებები გამოიყენება გასამრჯელოებისა და პენსიების მიმართ, რომელიც მიღებულია მომსახურებისათვის, ხელშემკვრელი სახელმწიფოს, ან მისი ადმინისტრაციულ-გერიგორიული ქვედანაყოფის, ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

## **მუხლი 20**



## სტუდენტები

სტუდენტის ან სტაჟიორის მიერ მიღებული ანაზღაურებანი, რომელიც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში უშუალოდ ჩამოსვლამდე იყო ან არის მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი და პირველად ხსენებულ სახელმწიფოში იმყოფება მხოლოდ და მხოლოდ სწავლის ან განათლების მიღების მიზნით, ხოლო ეს ანაზღაურებანი განკუთვნილია ცხოვრების, სწავლისა და განათლების მისაღებად, არ დაიბეგრება ამ სახელმწიფოში, თუ ანაზღაურების წყაროები ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მდებარეობს.

### მუხლი 21

#### პროფესორები, მასწავლებლები და მეცნიერ მუშაკები

1. ანაზღაურება, რომელსაც იღებს პროფესორი, მასწავლებელი ან მეცნიერ მუშაკი, რომლებიც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ჩამოსვლამდე იყვნენ ან არიან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები და პირველად ხსენებულ სახელმწიფოში იმყოფებიან მხოლოდ სამასწავლებლო საქმიანობის ან სამეცნიერო კვლევის მიზნით უნივერსიტეტში, კოლეჯში ან სხვა სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში არაუმეტეს ორწლიანი პერიოდის განმავლობაში, არ იბეგრება ამ პირველ სახელმწიფოში, თუ ამ ანაზღაურების წყარო მდებარეობს ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები არ იქნება გამოყენებული კვლევითი სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავალზე, თუ ასეთი მუშაობა გარდება არა სამოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ პირის ან პირთა მიერ კერძო სარგებლის მიღების მიზნით.

### მუხლი 22

#### სხვა შემოსავლები

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის შემოსავლების სახეები, რომლებიც არ არიან მოხსენებული ამ შეთანხმების წინა მუხლებში, ექვემდებარებიან დაბეგვრას მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

2. 1-ლი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება სხვა შემოსავლების მიმართ, რომლებიც განსხვავებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლებისაგან, თუ ამ შემოსავლების მიმღები წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ მდებარე მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ამ მეორე სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზიდან და უფლება ან ქონება, რომლებთან დაკავშირებითაც მიღებულია შემოსავალი, ნამდვილად არის დაკავშირებული ასეთ მუდმივ დაწესებულებასთან ან მუდმივ ბაზასთან. ამ შემთხვევაში, გარემოებიდან გამომდინარე, გამოიყენება მე-7 ან მე-14 მუხლების დებულებები.

3. 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებების მიუხედავად, ერთი ხელშემკვრელი

სახელმწიფოს რეზიდენცის შემოსავლის სახეები, რომლებიც არ არის ნახსენები ამ შეთანხმების წინა მუხლებში და წარმოშობილია მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში, ასევე შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

## **მუხლი 23**

### **ქონება**

1. უძრავი ქონებით წარმოდგენილი ქონება, რომელზეც ლაპარაკია მე-6 მუხლში და რომელიც წარმოადგენს ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენცის საკუთრებას არსებულს მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. მოძრავი ქონებით წარმოდგენილი ქონება, რომელიც ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს საწარმოს მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილია მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში ან წარმოდგენილია მუდმივ ბაზასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, რომელიც ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენცის განკარგვაშია მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში დამოუკიდებელი პირადი მომსახურებისათვის, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

3. ქონება, რომელიც წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო ან საჰაერო ხომალდებით, საავტომობილო ან სარკინიგზო საგრანსპორტო საშუალებებით, ან მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, იბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვერელ სახელმწიფოში, რომელშიც იმყოფება საწარმოს ფაქტიური მართვის ორგანო.

4. ქონება, რომელიც წარმოდგენილია კომპანიის აქციებით ან სხვა კორპორაციული უფლებებით, რომელთა აქცივები უმთავრესად შედგება ერთ ხელშემკვერელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებისაგან, შეიძლება დაიბეგროს ამ სახელმწიფოში.

5. ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენცის კაპიტალის ყველა სხვა ელემენტი იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

## **მუხლი 24**

### **ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილება**

1. თუ ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს ან ფლობს ქონებას, რომელიც ამ შეთანხმების დებულებების თანახმად შეიძლება დაიბეგროს მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში, პირველად ხსენებული სახელმწიფო დაუშვებს:

a) ამ რეზიდენტის შემოსავალზე გადასახადიდან თანხის გამოქვითვას, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოში მიღებულ შემოსავალზე გადახდილი გადასახადის თანხის ტოლია.

b) ამ რეზიდენტის ქონების გადასახადიდან თანხის გამოქვითვას, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოში ქონებაზე გადახდილი გადასახადის თანხის ტოლია.

ეს გამოქვითვები, ნებისმიერ შემთხვევაში, ან უნდა აღემატებოდეს შემოსავალსა და ქონებაზე გადასახადის ნაწილს, რომელიც გამოთვლილია გამოქვითვის წარდგენამდე და მიეკუთვნება შემოსავალსა და ქონებას, რომელიც შეიძლება

დაბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში, გარემოებებიდან გამომდინარე.

2. თუ შეთანხმების ნებისმიერ დებულებათა შესაბამისად, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი ან ქონება განთავისუფლებულია გადასახადისაგან ამ სახელმწიფოში, ამ რეზიდენტის შემოსავლის ან ქონების დარჩენილ ნაწილზე გადასახადის თანხის განსაზღვრისას, ამ სახელმწიფოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს გადასახადისაგან განთავისუფლებული შემოსავალი ან ქონება.

3. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო უშეებს, გამოქვითვის სახით, გადასახადის თანხის, რომელიც შეიძლება ამოღებული ყოფილიყო მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მისი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ან თანხას, შემლუღულს ამ შეთანხმების მე-10, მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად, მაშინაც კი თუ ეს მეორე სახელმწიფო არ ამოიღებს ამ გადასახადებს ან მათ ნაწილს ეროვნული კანონმდებლობით დაშვებული საგადასახადო შეღავათების ძალით.

## **მუხლი 25** **არადისკრიმინაცია**

1. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნაციონალური პირები არ განიცდიან მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განსხვავებულ ან უფრო მძიმე დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ვიდრე დაბეგვრას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ მეორე სახელმწიფოს ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში, კერძოდ, რეზიდენტის თვალსაზრისით. ეს დებულება, 1-ლი მუხლის დებულებების მიუხედავად, გამოიყენება აგრეთვე ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები.

2. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მოქალაქეობის არმქონე პირები, არც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებარონ ნებისმიერ დაბეგვრას ან ნებისმიერ მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, განსხვავებულს ან უფრო მძიმეს, ვიდრე დაბეგვრა და მასთან დაკავშირებული ვალდებულება, რომლებსაც ექვემდებარებიან ამ სახელმწიფოთა ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში.

3. იმ მუდმივი დაწესებულების დაბეგვრა, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი ამ მეორე სახელმწიფოში, ვიდრე იმ საწარმოთა დაბეგვრა, რომლებიც ამგვარ საქმიანობას ახორციელებენ ამ მეორე სახელმწიფოში. ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ვალდებულება ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს მიანიჭოს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს რაიმე პირადი შეღავათები, გამოქვითვები და ფასდაკლებები დაბეგვრაში მათი სამოქალაქო სტატუსის ან ოჯახურ გარემოებათა საფუძველზე, რომლებსაც იგი ანიჭებს საკუთარ რეზიდენტებს.

4. იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც გამოიყენება მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის ან მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის დებულებები, პროცენტი, როიალტი ან სხვა გადახდები, რომლებსაც აწარმოებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო მეორე სახელმწიფოს რეზიდენტზე, ასეთი საწარმოს დასაბეგრი მოგების განსაზღვრის მიზნებისათვის უნდა დაექვემდებარონ გამოქვითვებს იმავე პირობებით, მათი გადახდა, რომ ხდებოდა პირველად ხსენებული

სახელმწიფოს რეზიდენცისათვის. ანალოგიურად, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს ნებისმიერი ღვალიანება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენცისადმი, ამ საწარმოს დასაბეგრი ქონების განსაზღვრის მიზნებისათვის უნდა დაექვემდებაროს გამოქვითვებს იმავე პირობებით, როგორც პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენცის ღვალიანება.

5. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოები, რომელთა ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს ერთ ან რამდენიმე რეზიდენცს ან მთლიანად ან ნაწილობრივ კონგროლირდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ერთი ან რამდენიმე რეზიდენცის მიერ, პირველად ხსენებულ სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებაროს ნებისმიერ დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებებს, განსხვავებულს ან უფრო დამამძიმებელს, ვიდრე დაბეგვრა ან მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებსაც შეიძლება დაექვემდებარონ პირველად ხსენებული სახელმწიფოს სხვა მსგავსი საწარმოები.

6. მე-2 მუხლის დებულებების მიუხედავად, ამ მუხლის დებულებები გამოიყენება ნებისმიერი სახის გადასახადებზე.

## მუხლი 26

### ურთიერთშეთანხმების პროცედურა

1. თუ პირი თვლის, რომ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას ამ შეთანხმების დებულებებითა შეუსაბამოდ, მას შეუძლია, ამ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღაცვის საშუალებათა მიუხედავად, წარადგინოს თავისი საქმე განსახილველად იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში, რომლის რეზიდენცსაც იგი წარმოადგენს ან, თუ მისი შემთხვევა ხვდება 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების ქვეშ, იმ სახელმწიფოში, რომლის ნაციონალურ პირსაც იგი წარმოადგენს. განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სამი წლის განმავლობაში პირველი შეგყობინებიდან იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც იწვევენ გადასახადით დაბეგვრას ამ შეთანხმების დებულებათა შეუსაბამოდ.

2. კომპეტენტური ორგანო შეეცდება, თუ იგი განცხადებას დასაბუთებულად ჩათვლის, და თუ მას თვითონ არ შეუძლია მივიდეს დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებამდე, მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტოს საკითხი შეთანხმებასთან შეუსაბამო დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერი მიღწეული შეთანხმება უნდა შესრულდეს დროში რაიმე შეზღუდვების მიუხედავად, რომლებიც არსებობენ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში.

3. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები შეეცდებიან ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ნებისმიერი სიძნელე ან გაუგებრობა, რომლებიც წარმოიშობა შეთანხმების განმარტების ან გამოყენებისას. მათ შეუძლიათ აგრეთვე აწარმოონ ერთმანეთთან კონსულტაციები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, შეთანხმებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც.

4. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ შევიდნენ ერთმანეთთან პირდაპირ კონტაქტში წინა პუნქტების გაგებაში თანხმობის მიღწევის მიზნით. კომპეტენტურ ორგანოებს კონსულტაციების გზით შეუძლიათ შეიმუშაონ შესაბამისი ორმხრივი პროცედურები, პირობები, მეთოდები და მეთოდიკები

ურთიერთთანხმების პროცედურის გამოყენებისათვის, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლით.

## **მუხლი 27** **ინფორმაციის გაცვლა**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ცვლიან იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ამ შეთანხმების დებულებათა ან ხელშემკვრელი სახელმწიფოების კანონმდებლობის შესრულებისათვის, რომელიც ეხება იმ გადასახადებს, რომლებზედაც შეთანხმება ვრცელდება იმ ზომით, ვიდრე დაბეგვრა არ ეწინააღმდეგება შეთანხმებას. ინფორმაციის გაცვლა არ შემოიფარგლება 1-ლი მუხლით. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და ეცნობება მხოლოდ იმ პირებს ან ორგანოებს (სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით), რომლებიც დაკავებულნი არიან გადასახადების შეფასებით ან აკრეფით, იძულებითი წესით ამოღებით ან სასამართლო დევნით, ან იმ აღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული აპელაციების განხილვით, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება. პირები ან ორგანოები ამ ინფორმაციებს გამოიყენებენ მხოლოდ დასახელებული მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გახსნა სასამართლოს ღია სხდომის მსვლელობაში ან სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას.

2. არც ერთ შემთხვევაში 1-ლი პუნქტის დებულებები არ იქნება განმარტებული, როგორც სავალდებულო რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის დაკისრებული ვალდებულება:

a) გააგარონ ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამა თუ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;

b) მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება მიღებული იქნეს ამა თუ იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკის მსვლელობისას;

c) მიაწოდონ ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გახსნას რაიმე სავაჭრო, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიონალური საიდუმლოება, ან სავაჭრო პროცესი, ან ინფორმაცია, რომლის გახსნაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პოლიტიკას (სამოგალოებრივ წესრიგს).

## **მუხლი 28** **დიპლომატიური მისიებისა და საკონსულო** **დაწესებულებების წევრები**

ამ შეთანხმების არც ერთი დებულება არ ეხება დიპლომატიური მისიებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომელთა საგადასახადო პრივილეგიებს, რაც დადგენილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმების ან სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე.

## **მუხლი 29**

## ძალაში შესვლა

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ უკანასკნელი შეგყობინების მიღების თარიღიდან და მისი ღებულებები გამოიყენებული იქნება:

I) წყაროსთან ამოღებული შემოსავლების მიმართ-თანხიდან, რომლებიც გადაიხდება პირველ იანვარს ან პირველი პირველი იანვრის შემდეგ კალენდარულ წელში, რომელიც მოსდევს შეთანხმების ძალაში შესვლის წელიწადს;

II) შემოსავლებსა და ქონებაზე სხვა გადასახადების მიმართ-გადასახადებზე, რომელიც გადაიხდება ან დაირიცხება პირველ იანვარს ან პირველი იანვრის შემდეგ კალენდარულ წელში პერიოდებისათვის, რომელიც მოსდევს შეთანხმების ძალაში შესვლის წელიწადს.

## მუხლი 30 მოქმედების შეწყვეტა

წინამდებარე შეთანხმება ძალაში რჩება მანამდე, სანამ მისი მოქმედება არ იქნება შეწყვეტილი ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ვიდრე თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია შეთანხმების შეწყვეტა დიპლომატიური არხების საშუალებით დენონსაციის შესახებ შეგყობინების გადაცემის გზით, ნებისმიერი კალენდარული წლის გასვლამდე არაუგვიანეს ექვსი თვისა, რომელიც მოსდევს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთ წლიან პერიოდს.

ასეთ შემთხვევაში შეთანხმება წყვეტს მოქმედებას:

I) წყაროსთან დაკავებული შემოსავლების მიმართ - თანხიდან, რომლებიც გადაიხდება პირველ იანვარს ან პირველი იანვრის შემდეგ კალენდარულ წელში, რომელიც მოსდევს შეგყობინების გადაცემის წელიწადს;

II) შემოსავლებსა და ქონებაზე სხვა გადასახადების მიმართ-გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება ან დაირიცხება პირველ იანვარს ან პირველი იანვრის შემდეგ კალენდარულ წელში, რომელიც მოსდევს შეგყობინების გადაცემის წელიწადს.

რის დასტურადაც, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1997 წლის 18 ნოემბერს, ორ ნამდვილ ეგემპლარად ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა. ტექსტების ახსნა - განმარტებაში წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს სახელით

სომხეთის რესპუბლიკის სახელით

ოქმი

შეთანხმებაზე საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას  
შორის შემოსავალსა და ქონებაზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან



## აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ

მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემდეგი დებულებები შეადგენენ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს:

1. მე-8, მე-13, მე-15 და 23-ე მუხლებთან დაკავშირებით:  
გამოთქმა “საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი” ნიშნავს ორგანოს, რომელიც ახორციელებს საწარმოს საქმიანობის მიმდინარე მართვას (აღმასრულებელი დირექცია).

2. მე-14 მუხლთან დაკავშირებით მუდმივი ბაზის კრიტერიუმისათვის მხარეები გამოიყენებენ მუდმივი დაწესებულების კრიტერიუმს, რომელიც მოცემულია მე-5 მუხლში.

ამასთან, გამოთქმა “მუდმივი ბაზა” არ მოიცავს საქმიანობის სახეებს (განსხვავებულთ, ვიდრე მითითებულია მე-14 მუხლში), რომელთა განხორციელების შედეგად წლიური შემოსავლის საერთო თანხა არ აღემატება მინიმალური თვიური ხელფასის ორასმაგ ოდენობას, რაც დადგენილია ხელშემკვერელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის გერიგორიაზმეც ხორციელდება საქმიანობა შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში.

ხელშემკვერელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმებით დაადგენენ ასეთ შემთხვევებში გადასახადის დაკავების წესს.

3. 27-ე მუხლთან დაკავშირებით:

ამ მუხლის დებულებები გამოყენებული იქნებიან “საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგადასახად კანონმდებლობის საკითხებში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების” და “საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმების” მოქმედებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ხელმოწერილია ქ. ერევანში, 1997 წლის 14 იანვარს.

შესრულებულია ორ ნამდვილ ეგზემპლარად ქ. თბილისში 1997 წლის 18 ნოემბერს ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა გექსტს გააჩნია თანაბარი ძალა. გექსტის ახსნა-განმარტებაში უთანხმოების შემთხვევაში, საფუძვლად მიიღება გექსტი რუსულ ენაზე.

საქართველოს სახელით

სომხეთის რესპუბლიკის სახელით